ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №14

09 აგვისტო 2022 წელი

11:00 საათი

ა/წ 9 აგვისტოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლილე ლიპარტელიანი;
5. მამუკა გუგეშაშვილი;
6. ვახტან სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა მომხსენებელს გელა ჩივიაშვილს.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების პირველ მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი: „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამის განხორციელების წესი (დანართი N9). (შემდგომში - წესი).

წესი მიზნად ისახავს 18-დან 21 წლამდე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას,

რომლებმაც სრულწლოვანების მიღწევის გამო დატოვეს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლები, საჭიროებენ საცხოვრისს და ჯერ კიდევ არ აქვთ დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობა. წესი მოიცავს დაფინანსების განხორციელების წესებსა და პირობებს.

წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის" (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამაში (შემდგომში - ქვეპროგრამა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქვეპროგრამის განმახორციელებლია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში- ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

წესის მე-2 მუხლის თანახმად, ქვეპროგრამით მოსარგებლე შესაძლებელია იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი, რომელიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში წარმოადგენდა. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარს, სრულწლოვანების მიღწევის გამო დატოვა იგი და საჭიროებს საცხოვრისს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმღები არ შეიძლება იყოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის-„სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდების მხარდამჭერის ქვეპროგრამაში" ჩართული პირები, ასევე პირები, რომლებსაც გააჩნიათ საცხოვრისი ქალაქ თბილისში, გარდა პირებისა, რომელთა სახლი საცხოვრებლად უვარგისია და/ან ოჯახური ძალადობისა თუ სხვა მავნე ზეგავლენის გამო ოჯახთან ერთად მათი ცხოვრება მაღალი რისკის შემცველია და პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საკუთარი ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება.

წესი ასევე ადგენს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახეებს, რომლის თანახმადაც, ქვეპროგრამის კომპონენტებს მიეკუთვნება მოსარგებლეზე მორგებული და მასთან შეთანხმებული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა, საცხოვრებელი პირობებითა და ყველა აუცილებელი ინვენტარით უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა, სამუშაოს ძიებისა და დასაქმების უნარების განვითარება, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაწევა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების მიღების მხარდაჭერა, პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა. აღნიშნული მომსახურების სახეების მიმწოდებელს წარმოადგენს სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ახალგაზრდული საცხოვრისი (შემდგომში – მიმწოდებელი).

წესის მე-4 მუხლის თანახმად, ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული მომსახურებების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება შეადგენს თვეში 500 ლარს. აღნიშნული დაფინანსება ხორციელდება სრულწლოვანების მიღწევიდან არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში (21 წლის შესრულების თვის ჩათვლით).

წესის მე-5 მუხლით განისაზღვრება ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, რომლის თანახმადაც, ქვეპროგრამით მოსარგებლედ აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს - „სსიპ -სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს"- რეგიონული საბჭო (შემდგომში-რეგიონული საბჭო). დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი მოსარგებლე პირი ირჩევს მომსახურების მიმწოდებელს, რის თაობაზეც შედგება წესის დანართით გათვალისწინებული თანხმობის ბარათი. რეგიონული საბჭო ქვეპროგრამის განმახორციელებელს უგზავნის ინფორმაციას დადებითი გადაწყვეტილების შესახებ, საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, ამ დოკუმენტაციის საფუძველზე ქვეპროგრამის განმახორციელებელი იღებს გადაწყვეტილებას მოსარგებლის ქვეპროგრამაში ჩართვის თაობაზე, რის შემდგომაც მოსარგებლესა და მიმწოდებელს შორის ფორმდება ხელშეკრულება. ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად ფინანსდება არაუმეტეს 6 მოსარგებლე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის ვაუჩერით ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ 3 წლის განმავლობაში (18-დან 21 წლის ასაკის მიღწევამდე, ან

21 წლამდე ვაუჩერის დაფინანსების შეწყვეტის სხვა საფუძვლის გამოვლენამდე), მათი ქვეპროგრამის მოსარგებლედ აღიარების შესახებ მოთხოვნის შესახებ რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების მიღების რიგითობის მიხედვით.

წესის მე-6 მუხლის თანახმად, განისაზღვრება მოსარგებლისათვის ვაუჩერის დაფინანსების შეწყვეტის ზოგადი საფუძვლები: მოსარგებლის 21 წლის ასაკის მიღწევა, მოსარგებლის გარდაცვალება, პირადი განცხადება. ამავე მუხლით, ასევე განისაზღვრება მიმწოდებლის გადაწყვეტილებით მოსარგებლისთვის ვაუჩერის დაფინანსების შეწყვეტის საფუძვლები.

წესის მე-8 მუხლის თანახმად, ქვეპროგრამის განმახორციელებელი პერიოდულად ახორციელებს მიმწოდებლის შემოწმებას, რომლის დროსაც ხორციელდება მიმწოდებელთან უფლებამოსილი წარმომადგენლის (შემმოწმებლის) ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, გასაუბრებაც, ხოლო მომსახურება ანაზღაურებას არ დაექვემდებარება, თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

წესის მე-11 მუხლი ადგენს მიმწოდებლის მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: მიმწოდებელი უნდა იყოს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებული ქვეპროგრამაში ჩართვამდე არაუგვიანეს ერთი წლისა და უნდა ჰქონდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, 6-თვიანი გამოცდილება, ასევე მიმწოდებელი უნდა ფლობდეს საცხოვრებელ სახლს მინიმუმ 1 საძინებელი ოთახით, 1 სამზარეულოთი, 1 სამეცადინო/სამუშაო ოთახით, 1 საერთო ოთახით და 1 სველი წერტილით. სახლი აღჭურვილი უნდა იყოს ცხოვრებისთვის აუცილებელი, საერთო სარგებლობის საბაზისო ავეჯითა და ტექნიკით, უნდა ჰყავდეს სპეციალისტების გუნდი: 1 ფსიქოლოგი და 1 სოციალური მუშაკი და/ან ახალგაზრდული მუშაკი, აგრეთვე, უნდა შეეძლოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების ერთდროულად მინიმუმ 2 მოსარგებლისათვის მიწოდება.

წესის გარდამავალი დებულების თანახმად კი, 2022 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად გაუგრძელდება 2023 წელს, ქვეპროგრამის განმახორციელებელს შეუძლია მიმწოდებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მისი მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მიმწოდებლად რეგისტრაციის, საკუთარი სურვილით გაუქმების შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 1 თვით ადრე.

აქვე, საკითხის წარმომდგენმა ითხოვა და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა, წარმოდგენილ პროექტში შევიდეს ცვლილება და მე-2 მუხლით განისაზღვროს ტერმინთა განმარტება და შესაბამისად მოხდეს მუხლთა ნუმერაციის შეცვლა.

ასევე, საკითხის წარმომდგენმა ითხოვა ნაცვლად,

მუხლი 4. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

4. მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურებების მიმწოდებელს წარმოადგენს სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ახალგაზრდული საცხოვრისი (შემდგომში–მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-11 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

იკითხებოდეს,

მუხლი 5. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

4. წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მომსახურებების მიმწოდებელს საცხოვრისი, რომელიც აკმაყოფილებს წესის მე-12 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

კომისიის წევრმა ანა კაკაბაძემ იკითხა, ამ ეტაპზე მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, რამდენი 18-დან 21 წლამდე პირი საჭიროებს დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.

გელა ჩივიაშვილის თქმით ამ ეტაპისთვის საცხოვრის საჭიროებს ქ. თბილისში რეგისტრირებული, 18 წლიდან 21 წლამდე 6 პენეფიციარი.

კომისიის წევრი ვახტანგ სურგულაძე დაინტერესდა როგორი სახით გაიცემა დაფინანსება.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წესით გათვალისწინებული მომსახურებების თანადაფინანსება, არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს თვეში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

პროექტი წარმოდგენილი ცვლილებებით განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩიკვილაძე